# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 11 აგვისტო 2007 №184 (3107) ფასი 50 თეთრი


# სენსაცი-ტ-ური

## ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო და თან როგორ დაიწყო: ფავორიტმა ამერმა ლოკომოტივთან წააგო





ლოკომოტივი 2:1 ამერი

ნიკა გუმბერაშვილმა გამარჯვების გოლი ბოლო წუთზე გაიტანა



ლოულ დენგი

## უცნაური ამბავი: ფაჩულია კარგია, საქართველო ცუდი

**საქართველო 64:82 ინგლისი**

23:12 16:17 12:29 13:24

**საქართველო:** გამყრელიძე, მარკოიშვილი (11), ელისი (2), ნაცვლიშვილი, ფაჩულია (25); სანიკიძე (11), ცინცაძე (6), ტულუში (3), უგრეხელიძე, ა. ბოისა

**ინგლისი:** დენგი (24 ქულა, 9 მოხსნა), სალივანი (17), ბეტსი (13)

ინგლისის ნაკრებმა დამაჯერებელი რევანში აუღო საქართველოს, რომელთანაც წინა დღეს დაძაბულ ბრძოლაში, ბოლო წუთებზე წააგო. გუშინ კი ბრიტანელები ერთი თავით მაღლა იდგნენ ქართველებზე და ფრანგული პოს არენა K2-ში დამაჯერებელი გამარჯვებაც იზეიმეს.

საქართველოს ნაკრებზე დასაწყისში აუგეს ვერავინ იტყოდა — კენ შილდსის გუნდმა ინგლისელებს პირველივე მეოთხედი დამაჯერებლად, 23:12 მოუგეს და დიდი შესვენებისთვისაც ხელსაყრელ ლიდერობას ინარჩუნებდნენ — 39:29.

წინა მატჩისგან განსხვავებით, აქტიურად ირჯებოდა ზაზა ფაჩულია, რომელიც ფარქვეშ არავის ახარებდა. ატლანტელი ფორვარდი ამჯერად კორექტული იყო (წინა მატჩში ის ინგლისელ ცენტრთან ჩხუბის გამო გააგდეს მოედნიდან) და მეტოქის დაჯაბენას სპორტული პრინციპების დაცვით ცდილობდა, რაც მშვენივრად გამოსდიოდა მანამ, სანამ ჩიკაგოელი ლუოლ დენგი აბობოქრდებოდა.

დენგმა გუშინ ჭეშმარიტად ულიდერა ინგლისელებს და მესამე მეოთხედიდან რომ მიჰყვა, ჯერ ჩამორჩენა გააბათილებინა თავისიანებს, შემდეგ კი გვარიანი სხვაობითაც გაამარჯვებინა.

მესამე ათწუთეული ინგლისმა 17 ქულით მოუგო ჩვენებს, გადამწყვეტ მეოთხედშიც არ დაინდო და საბოლოოდ 18-ქულიანი გამარჯვებაც მიითვალა.

ამით საქართველოს ნაკრებმა დაასრულა სპარინგ-მატჩები და 21 აგვისტოს უკვე ოფიციალური ჯახი ელის ლუქსემბურგში.

ერთი ცუდი ინფორმაციაც: ნიკა ცქიტიშვილი, წესით, დღეს უნდა შეერთებოდა ნაკრებს, მაგრამ ამ თარიღმა გაურკვეველი ვადით გადაიწია.

# კობიაშვილის გოლ-სტარტი

## ბუნდესლიგა ქართული გოლით დაიწყო



# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — I წრე. 1 ტური





მალხაზ ახალკაციშვილის ფოტოები

# დევაძის მძიმე ვარდნა

„მესხეთი" — „მგლების" შეხვედრის 32-ე წუთზე მეტოქის ფეხბურთელთან შეტაკებისას ზუგდიდელთა მეკარე აკაკი დევაძე ისე დაშავდა, რომ შესაცვლელი შეიქნა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, დევაძე უხერხულად დაეცა და იდაყვის ძვალი გაიბზარა. პირველადი სამედიცინო დახმარების შემდეგ, რომელიც ფეხბურთელს ახალციხის საავადმყოფოში აღმოუჩინეს, დევაძემ, სულ ცოტა, 10 დღე თაბაშირით უნდა იაროს, ხოლო როდის განაახლებს ვარჯიშს, ჯერჯერობით უცნობია.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გორი. 11 აგვისტო. 17.30 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა — ბათუმი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, თ. ხუჭუა, ი. მაჩიტაძე, ო. ხეცაძე

რუსთავი. 11 აგვისტო. 17.30 საათი. ფოლადი

## ოლიმპი — დინამო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ლ. კვარაცხელია

ბოლნისი. 11 აგვისტო. 17.30 საათი. თამაზ სტეფანია

## სიონი — სპარტაკი

მსაჯები: კ. ჭაჭუა, ზ. ჯვარიძე, კ. გაბრიაძე, ლ. სილაგავა

თბილისი. 12 აგვისტო. 17.30 საათი. შევარდენი

## ბორჯომი — მერანი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ლ. თოდრია, ზ. ფიფია, ა. კრიჭაშვილი

# რა გაკოტრიალებთ?!

ზესტაფონი. 10 აგვისტო. 17.30 საათი. ცენტრალური. 3 000 მაყურებელი

## ზესტაფონი 1:1 ვიტ ჯორჯია

0:1 სახოკია (11), 1:1 ფიფია (88)

| ზესტაფონი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| ჭანტურია, საჯაია, ს. თოდუა, შ. ლონდაძე, კ. ჩხეტიანი (იონანიძე 60), რ. ონიანი (ხიდეშელი 69), კესანი, ნ. კვასხვაძე (ბენაშვილი 46), ვიეირა, გ. ჩხეტიანი, ფიფია | ბედიაშვილი (მიქაბერიძე 50), პ. დათუნაიშვილი, კაიშაური, ა. კვახაძე, ლომაია, ბეჟვაია, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი (გ. მელქაძე 56), გელაშვილი (ინჯგია 61), სახოკია |
| სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, დაუშვილი, ჯიშკარიანი, ქორიძე | სათადარიგონი: ადამაძე, ლიპარტია, ლუჭაშვილი, ბერიაშვილი |
| მწვრთნელი: თემურ მახარაძე | მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე |

გაფრთხილება: ბეჟვაია (47), ინჯგია (69)

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ლ. მიქელაძე, მ. ურუშაძე

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან

საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა „ზესტაფონმა" თამაში თავიდანვე დაულაგებლად დაიწყო და ამან ანგარიშზეც იმოქმედა. მე-11 წუთი იყო, გიორგი დათუნაიშვილმა გრძელი გადაცემა გაუკეთა ზაზა სახოკიას, ზესტაფონელ მცველ შალვა ლონდაძეს სურდა, თავით მიეწოდებინა ბურთი მეკარისთვის, რაც ცუდად გამოუვიდა და გრიგოლ ჭანტურიასთან პირდაპირ შეყრილმა სახოკიამ პირველ ჯერზე ვერა, მაგრამ მეორეზე საგოლედ დაარტყა.

გოლიდან რამდენიმე წუთში სტადიონზე შოუმენი ნიკა ქავთარაძე მოვიდა მეგობრებთან ერთად და მთელი შეხვედრის განმავლობაში მხურვალედ უქომაგა ზესტაფონურ გუნდს.

მასპინძლები კი მაინც უნიათოდ თამაშობდნენ, ხოლო ვიტელები დაცვაში იდგნენ და კონტრშეტევაზე ფიქრობდნენ.

–გოგი ფიფიას მიეცა ანგარიშის გათანაბრების კარში შანსი — დროულად უნდა დაერტყა, მაგრამ დააყოვნა. შემდეგ მცველი მოატყუა პასის მიცემაც შეეძლო, თუმცა ახლო კუთხეში დაარტყა და გრიგოლ ბედიაშვილმა მოიგერია. ტაიმის მიწურულს კი ძილვან ვიერას დარტყმულიც უკუაგდო ვიტელთა მეკარემ.

ინერტული ნიკოლოზ კვასხვაძის ნაცვლად თემურ მახარაძემ ალექსი ბენაშვილი შეუშვა და მასპინძლებიც ცოტა გამოცოცხლდნენ. ნესტორ მუმლაძის გუნდი კი თითქმის მთელი გუნდით თავს იცავდა.

თამაშის განახლებიდან ხუთ წუთში თბილისელებს მეკარე დაუშავდათ და კარი არდალიონ მიქაბერიძემ ჩაიბარა.

ამასობაში მახარაძემ შეტევა ზურაბ იონანიძით გააძლიერა, თუმცა...

სტუმრები ხშირ-ხშირად ითხოვდნენ ექიმის შველას, რამაც ზესტაფონელი ქომაგები გააღიზიანა.

მასპინძლები კი უტევენ, მაგრამ საქმე რეალურ საგოლე მომენტამდე ვერა და ვერ მიჰყავთ.

ბოლო წუთებია და ჯარიმას ბრაზილიელმა ვიეირამ ჩააწოდა — ტანმორჩილმა ფიფიამ ყველას დაასწრო, ბურთს თავის წაჰკრა და 1:1. ეს 88-ე წუთზე იყო.

დარჩენილ რამდენიმე წუთში. იონანიძეს ჰქონდა მომენტი, მაგრამ მეკარემ დაასწრო და მატჩიც დამთავრდა.

სხვათა შორის, შეხვედრას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელები პეტარ სეგრტი და გელა შეყილაძე ესწრებოდნენ, თუმცა კმაყოფილები დარჩნენო, ვერ ვიტყვით.

## პრესკონფერენცია

ნესტორ მუმლაძე: საინტერესო და დაძაბული შეხვედრა გამოვიდა. ვფიქრობ, ფრეს ვიმსახურებდით. რა დავალებაც მივეცი ფეხბურთელებს, ყველაფერი შეასრულეს და მინდა, მათ მადლობა გადავუხადო..

თემურ მახარაძე: მცველთა შეცდომით თავიდანვე ცუდი შედეგი მივიღეთ და შემდეგ გაგვიჭირდა თამაშის გამოსწორება. „ვიტ ჯორჯია" ყოველთვის უხერხული მეტოქეა და ვიცოდით, რომ ძნელი მატჩი იქნებოდა. ისინი მთელი შეხვედრა ანტი-ფეხბურთს თამაშობდნენ — ყველა კარში იდგა. მსაჯზე არ მიყვარს საუბარი, მაგრამ სტუმრები ამდენს რომ კოტრიალობდნენ, ამაში ლამის ნახევარი ტაიმი გავიდა...

...მოგეხსენებათ, ერთი ბრაზილიელი, დოს სანტოსი გაგვექცა. მეორე, ჟონატასი, ჩვენთან კი არის, მაგრამ იმ ცნობილი ამბით შეშფოთებული ფეხბურთზე საერთოდ ვერ ფიქრობს და თავის ცოლს გვერდიდან არ შორდება. არადა, ორივე ძირითადი შემადგენლობის წევრია და ამხელა დანაკლისი ჩვენთვის ძნელად ამოსავსებია.

## გერმანია

ბუნდესლიგა. I ტური

შტუტგარტი 2:2 შალკე

II ბუნდესლიგა. I ტური

ალემანია 2:2 კარლ ცაისი
ოსნაბრუკი 2:1 ფრაიბურგი
ზანკტ პაული 0:2 კიოლნი

სამხრეთ რეგიონალლიგა III ტური

სანდჰაუზენი 3:0 აალენი

## საფრანგეთი

II დივიზიონი. III ტური

აიაჩო 1:1 გენგამი
დიჟონი 1:0 ამიენი
გრენობლი 2:0 რეიმსი
ბენიონი 3:1 შატორუ
ლიბურნი 3:1 ლე ავრი
ნიორი 0:1 სედანი
ტრუა 2:2 ანჟერი
ბულონი 2:0 მონპელიე
ნანტი 2:2 კლერმონი

## ჰოლანდია

II დივიზიონი. I ტური

აპელდორნი 0:1 დენ ბოსხი
კამბური 2:1 დორდრეხტი
ეინდჰოვენი 0:0 ტელსტარი
ალმერე 2:2 ვალვაიკი
ვოლენდამი 2:2 ვეენდამი
იგლსი 6:0 ემენი
ჰაარლემი 1:1 ზვოლე
მაასტრიხტი 2:1 დენ ჰააგი
როზენდალი 1:0 სიტარდი
ოსი 1:1 ჰელმონდი

## ბელგია

იუპილერლიგა. II ტური

ვესტერლო 1:0 შარლერუა

## რუმინეთი

I ლიგა. III ტური

დაჩია 2:2 ვასლუი
ჩაჰლაული 0:3 დინამო

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა IV ტური

დიოშდიორი 2:2 მტკ

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. VI ტური

ავსტრია 6:1 ტიროლი

I დივიზიონი. III ტური

შვადორფი 2:0 კერნტენი
ლუშტენაუ 1:1 ავსტრია (მ)
კაპფენბერგი 1:4 პარნდორფი
შვანენშტადტი 2:3 ავსტრია (ლ)
ავზე 3:2 ზალცბურგი (მ)

## შვეიცარია

სუპერლიგა. V ტური

ციურიხი 3:1 სენტ გალენი

ჩელენჯლიგა. V ტური

გოსაუ 1:1 ივერდონი
შო დე ფონი 2:3 კონკორდია
ლუგანო 1:1 კრინსი

## თურქეთი

სუპერლიგა. I ტური

ბუიუქშეჰირი 2:0 ფენერბაჰჩე

## ირლანდია

პრემიერლიგა. XXII ტური

ბოჰემიანსი 2:1 კორკი
დერი 3:1 ლონგფორდი
დროჰედა 2:0 სტ. პატრიკსი
დუბლინი 2:2 გალვიე
უოტერფორდი 0:2 შემროკი

## სლოვაკეთი

სუპერლიგა. V ტური

სენეცი 1:3 ტრნავა

## უკრაინა

ვიშა ლიგა. V ტური

ჩერნომორეცი 1:0 ზარია

## პოლონეთი

I ლიგა. III ტური

რუხი 1:0 სოსნოვიეცი
ვისლა 4:0 კორონა

## ხორვატია

NHL. IV ტური

დინამო 2:1 ციბალია

## სლოვენია

I ლიგა. IV ტური

ინტერბლოკი 0:1 ნოვა გორიცა

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 1 ტური



ნიკა გუშარაშვილის სამქულიანი

ვაჟა კიკილაშვილის ფოტო

# რა ბელხატუვი?!

## ლოკომოტივმა „ვარსკვლავები" ჩამოყარა

კობა ინასარიძე

ჩემპიონატი დაიწყო და აი, პირველი მოულოდნელობაც– ისე, მოულოდნელობაცაა და მოულოდნელობაც. უეფას თასზე პოლონურ „ბელხატუვთან" ჩინებული თამაშის შემდეგ, ვინმეს ეჭვი ეთქვა კიდეც „ამერის" წაფორხილება იმ ახალგაზრდულ გუნდთან, რომელიც წინა სეზონში უმაღლესიდან გავარდნას ძლივს გადაურჩა.

თუ დამიჯერებთ, თავადაც ასე ვფიქრობდი და ამ ფიქრებში კიდევ უფრო შორს მაშინ წავედი, როცა „ამერი" მატჩის დასაწყისშივე დაწინაურდა — მე-2 წუთზე სულიკო დავითაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი დიმიტრი ტატანაშვილმა უნაკლოდ შეასრულა.

სხვათა შორის ეს გოლი ამ ჩემპიონატში პირველი იყო.

არაპროფესიონალიზმი, აბზუებული ცხვირი, ზედმეტი თავდაჯერება — რაც გინდათ, თქვით, ოღონდ ფაქტს ვერსად გავექცევით — მათ, ვინც პოლონეთის ვიცე-ჩემპიონ „ბელხატუვს" თბილისში საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს, მათვე გუშინ საპასუხო გაკვეთილი მოუწყვეს. იკითხავთ, ვინ? გიპასუხებთ: 16 წლის ლევან ყენიამ და მისმა პარტნიორებმა.

მოგებული შემადგენლობა არ იცვლებაო და, გიორგი ჩიხრაძემაც „ლოკომოტივს" „ბელხატუვთან" ნაცადი ფეხბურთელები დაუპირისპირა. მათ კი... აქაოდა, „ბელხატუვს" 2:0 მოვუგეთ, აქაოდა, პრესამ ქებით აგვავსო, ქომაგის პატივისცემას ვგრძნობთ და „ლოკომოტივთან", აბა, როგორ უნდა გაგვიჭირდესო, ალბათ ფიქრობდნენ პოლონელებთან მატჩის „ვარსკვლავები"...

„ბელხატუვთან" თითოეული ამერელი მართლაც ვარსკვლავივით თამაშობდა, მაგრამ აგერ, დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი და რა ვნახეთ ამ ვარსკვლავებისგან?!

ეს ძალიან ცუდია და, ზოგადად, ქართული ფეხბურთის პრობლემაა. ეს მხოლოდ „ამერის" პრობლემა არ არის, ეს ქართველი ფეხბურთელების პრობლემაა — ბრექი, აი, რაც არის ყველაზე საგულისხმო.

...„ლოკომოტივის" ბევრი ჭაბუკი ფეხბურთელი მოედანზე გამოვიდა და დაახლოებით მე-60 წუთის შემდეგ ისეთი ფეხბურთი ითამაშა, სტუმრებს „ბელხატუვი" დაავიწყა.

...პირველი ტაიმი, იცოცხლეთ, „ყვითლების" იყო, მით უმეტეს, რომ ისინი დასაწყისშივე დაწინაურდნენ, თუმცა ერთხელ „ამერი" ძელმაც გადაარჩინა.

შესვენების შემდეგაც „ამერი" თავიდანვე შეტევებს მიეძალა, ერთი გოლიც და, „ლოკომოტივს" მეტი რაღად უნდაო, სტუმრებმა შეიძლება ასეც იფიქრეს და ჰქონდათ კიდეც საგოლეე ძალიან კარგი მომენტები. გამოცდილმა დავით გვარამაძემ არც გიორგი დეკანოსიძეს, არც გიზო ჯელაძეს და არც ტატანაშვილს არ გაატანინა. „ლოკომოტივის" კართან მომენტები ზედიზედ, ორ-სამ წუთიანი შუალედით შეიქმნა, მერე კი...

ყოჩაღმა მასპინძლებმა, მწვრთნელ გიორგი კიკნაძის ხელმძღვანელობით, ნელ-ნელა და გეგმაზომიერად შეუტიეს ქვეყნის თასის მფლობელებს და სათავისო შედეგიც მიიღეს. 63-ე წუთზე ასევე პენალტით ირაკლი სამხარაძემ ისარგებლა და ზურაბ ქვაჩახიას, რომელსაც პენალტების მომგერიებლის სახელი გაუვარდა, ზუსტად დაურტყა, ხოლო სულ ბოლოს ფლანგური საჯარიმოდან ლევან ყენიას ჩაწოდებულს ნიკა გუშარაშვილმა მიაყოლა სამქულიანი თავური.

ასეთი ამბავი იყო გუშინ „მიხეილ მესხზე"...

„ლოკომოტივის" მონდომება „ამერისთვის" ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს: „ბელხატუვი" დამთავრდა, საქართველოს ჩემპიონატი და-

თბილისი. 10 აგვისტო. 18 საათი. მიხეილ მესხი. 500 მაყურებელი

### ლოკომოტივი 2:1 ამერი

0:1 ტატანაშვილი (2პ), 1:1 სამხარაძე (63პ), 2:1 გუშარაშვილი (90)

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი: გვარამაძე, დ. ფოფხაძე, ბ. კვახაძე, გუშარაშვილი, ქუხილავა, მალიჩავა (ტიკურიშვილი 58), ლალაძე (გ. ბარბაქაძე 80), გულორდავა, ყენია, ი. სამხარაძე, მიქაძე (ჩაგელიშვილი 77) სათადარიგონი: ცერცვაძე, მ. ღლენტი, ალავერდაშვილი, კობიაშვილი მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე | ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, ჯელაძე (ბ. ცხადაძე 78), დობროვოლსკი, ბოლქვაძე (დოლიძე 65), დეკანოსიძე, ს. დავითაშვილი (რ. გოცირიძე 65), ტატანაშვილი სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი, დ. მჭედლიშვილი, კობაური, ჩიკვილაძე მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

გაფრთხილება: კვახაძე (12), მიქაძე (20), ყენია (59), დიდავა (62), დოლიძე (68), ხვადაგიანი (85), ყენია (90), გუშარაშვილი (90),

გაძევება: ყენია (90)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ს. სპიცინი, ზ. ერქვანია, ვ. გუმბერიძე

### პრესკონფერენცია

გიორგი ჩიხრაძე: ვულოცავ „ლოკომოტივს" დამსახურებულ გამარჯვებას.

...პირველ ტაიმში ნორმალურად ვითამაშეთ და დავწინაურდით კიდეც, მაგრამ მეორე ნახევარში „ამერი" მოედანზე აღარ იყო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ჩემი გუნდი სადღაც გაქრა და მხოლოდ „ლოკომოტივი" თამაშობდა...

ეტყობა, „ბელხატუვთან" დამაჯერებელმა თამაშმა ფეხბურთელებზე ცუდად იმოქმედა — ქართულმა სენმა იჩინა თავი, ეგონათ, იოლად მოიგებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ხდება...

მეტ მიზეზებზე აღარ ვიტყვი — ამას, სადაც საჭიროა და ვისთანაც საჭიროა, იმასთან გავარკვევ.

გიორგი კიკნაძე: მადლობას ვუხდი ჩემს ფეხბურთელებს თავდადებული თამაშისთვის.

„ამერთან" მოგება ნებისმიერი გუნდისთვის დიდი წარმატებაა და მიხარია, რომ დღეს ეს შევძელით...

–ლევან ყენიას აუცილებლად დაველაპარაკები უაზროდ მიღებული ყვითელი ბარათების გამო. ის ჯერ პატარაა და ასეთი შეცდომაც ამიტომ მოუვიდა. იმედია, ამას გაითვალისწინებს და მომდევნო მატჩებში აღარ გაიმეორებს.



საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატის პირველი გოლი

ვაჟა კიკილაშვილის ფოტო



## საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა | წრე. 1 ტური

ახალციხე. 10 აგვისტო. 17.30 საათი. ცენტრალური. 3 500 მაყურებელი

### მესხეთი 1:0 მგლები

1:0 ზ. ჩხეტიანი (25)

| მესხეთი | მგლები |
|---|---|
| მესხეთი: სომხიშვილი, ჟვანია, ლეკიშვილი, აკოფიანი, გ. ნადირაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ინასარიძე (კობესაშვილი 46), გ. თურმანიძე, გვირჯიშვილი (კველიშვილი 90), ა. კაიდარაშვილი, მ. თაყაძე (აფრიამაშვილი 46) სათადარიგონი: ძამუნაშვილი; მ. ლონლაძე, რუსია, სუდაძე მწვრთნელი: კობა თედიაშვილი | მგლები: დევაძე (ივარდავა 33), ექონია, მაჭავარიანი, ფარულავა, ზ. ჯანაშია (ქირია 70), ვართაგავა, ჯოჯუა, ხუბუა, კრასოვსკი, ჭედია (ბაკარანძე 46), კაკაბაძე სათადარიგონი: გაბედავა, კუტალია, წურწუმია, ნარსია მწვრთნელი: ბესიკ შეროზია |

გაფრთხილება: ექონია (7), ვართაგავა (18), ზ. ჩხეტიანი (21), ჟვანია (32), აკოფიანი (41), ჟვანია (45), ლეკიშვილი (90)

გაძევება: ჟვანია (45)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, დ. კურტანიძე, ი. კაკაბაძე, გ. დოგრაშვილი

დამკვირვებელი: მ. მაღლაფერიძე

# ახალციხემ და ზუგდიდმა უმაღლესი ლიგა ნახეს
## პირველი გამარჯვება და პირველი დამარცხება

**მიხეილ ჟორჟოლიანი** ახალციხიდან

**მატჩი** ისე დაიწყო, როგორც ახალი ჩემპიონატის გახსნას შეეფერება — საქართველოს ჰიმნითა და კაპიტნების მიერ აღმართული დროშით. იქნებ ეს არც გვეხსენებინა, მაგრამ ორივე გუნდისთვის ხომ ეს ტრადიციული რიტუალი პირველი უმაღლესლიგური იყო.

ორივე გუნდის მწვრთნელმა ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და ერთი თავდამსხმელით თამაში არჩია.

საწყისი წუთები სტუმრებისა იყო და გოლი რომ ვერ გაიტანეს, უპირველესად გიორგი სომხიშვილის დამსახურებაა — მესხთა მეკარემ ჯერ გიორგი კრასოვსკის თავური მოიგერია შესანიშნავ ნახტომში, შემდეგ კი პირისპირ დარჩენილ გიორგი ჭედიას დაასწრო წამით.

21-ე წუთზე სომხიშვილიც უძლური იქნებოდა, თემურ ფარულავას ჯარიმას ოდნავ მეტი სიზუსტე რომ ჰქონოდა — დარტყმული ჯვარედინს მოხვდა.

ორიოდ წუთში გელა ხუბუამ მარჯვნივ გაილაღა, მაგრამ მისი გამჭოლი გადაცემა ველარავინ ჩაკეტა.

ვერ გაიტანა „მგლებმა" და დაისაჯა კიდეც — 25-ე წუთზე ექსტორპედოელმა ზვიად ჩხეტიანმა კარიდან 30 მეტრში მიიღო ბურთი, არც დაფიქრებულა, ისე დაურტყა აკაკი დევაძეს და მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა — 1:0.

32-ე წუთზე მესხთა კუთხურის შემდეგ გოგა ჟვანია დევაძესთან ორთაბრძოლაში დაჯარიმდა, ახალციხელმა ფეხბურთელმა ყვითელი ბარათი მიიღო, დევაძემ კი ტრავმა და შესაცვლელი შეიქნა.

ტაიმის ბოლოს ჟვანიამ ისევ იუხეშა და გიორგი კიკაჩეიშვილს მეორედ მოუხდა მისი გაფრთხილება — ჟვანიამ მოედანი დატოვა.

მეორე ტაიმში ორივე გუნდის მწვრთნელმა ტაქტიკა შეცვალა. კაცნაკლული „მესხეთი" უფრო დაცვაზე ორიენტირებული გახდა, „მგლებმა" კი პირიქით, ჯერ ორი თავდამსხმელით შეუტია, მერე მესამეც მიამატა, მაგრამ...

48-ე წუთზე სომხიშვილი გამოსვლაზე შეცდა და ბურთი პირდაპირ პაატა ბაკარანძეს ჩააბარა, მისი დარტყმული კი კარის ხაზიდან ზაზა კობესაშვილმა გამოიტანა.

ეს იყო და, თამაშის ბოლომდე დასამახსოვრებელი აღარაფერი შექმნილა — „მესხეთი" ორგანიზებულად იცავდა თავს, „მგლები" კი მხოლოდ კბილებს აკრიჭინებდა, თან დაღლაც დაეტყო...

81-ე წუთზე პაატა გვირჯიშვილმა ერთი შეხებით დატოვა მანუჩარ ივარდავასთან პირისპირ ალექსანდრე კაიდარაშვილი, მაგრამ თავდამსხმელმა კუთხე შეიმცირა და მეკარეს ველარ ააცილა.

ბოლოს კი ათკაციანი „მესხეთიც" დაიღალა და „მგლებს" ორჯერ უნდა გაეტანა: ჯერ დავით ქირიამ დაარტყა მაკრატელა, რასაც სომხიშვილმა მხოლოდ თვალი გააყოლა, ამის მერე კი კრასოვსკიმ ოთხიოდე მეტრიდან იმავ სომხიშვილს ჩაახუტა ბურთი...

ამასობაში მსაჯის სასტვენიც გაისმა და დებიუტანტთა ჯახში „მესხეთმა" იმარჯვა.

### პრესკონფერენცია

კობა თედიაშვილი: ეს იყო ორი დებიუტანტი გუნდის თამაში და იმის გათვალისწინებით, რომ საკმაო ხანი ათი კაცით ვითამაშეთ, ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ. არ ვიცოდით, მეტოქე რას შემოგვთავაზებდა, ამიტომ ცოტა ფრთხილი თამაში ვარჩიეთ და სასურველი შედეგიც მივიღეთ.

ბესიკ შეროზია: ვულოცავ „მესხეთს" გამარჯვებას — დღეს იღბალი მათ მხარეს იყო. ძალიან ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ვფიქრობ, ფრე უფრო ლოგიკური შედეგი იქნებოდა. სამუშაო ბევრი გვაქვს, შეცდომებს აუცილებლად გამოვასწორებთ და მომდევნო ტურებში სხვა „მგლებს" ნახავთ.

# სიონმა და პრემიერმა ხალხი დაპატიჟეს
## ჯერ კლუბთან, მერე კლუბში



**კიდევ** ერთხელ ვთქვათ, რომ ბოლნისის „სიონს" „პრემიერ ბიზნეს-ჯგუფის" სახით ახალი პარტნიორი გამოუჩნდა და დღეიდან საქართველოს 2005-2006 წლების სეზონის ჩემპიონი ამ ბიზნეს-ჯგუფთან ერთად ეცდება ძველი წარმატების განმეორებას.

გუშინ ბოლნისელი ფეხბურთელები, მათი ხელმძღვანელები და პრემიერ-პარტნიორები თბილისში, კინოს სახლთან შეიკრიბნენ და ერთგვარი პიარ-აქციაც მოაწყვეს. ფეხბურთელებმა „სიონის" მაისურები მოირგეს და გამვლელ-გამოვლელი კლუბისა და „პრემიერის" თანამშრომლობის პრეზენტაციაზე დაპატიჟეს. აღვნიშნოთ, რომ ამგვარი აქცია ქართული კლუბებისგან ჯერაც არ გვინახავს და თავისთავად, საინტერესო ფაქტია, როცა ფეხბურთელები, ხელმძღვანელები და პარტრიონები ასეთი ხერხით ცდილობენ კლუბის პოპულარიზაციას.

შემდეგ უკვე ღონისძიებამ კლუბ „პრემიერში" გადაინაცვლა, იქ, სადაც „სიონი" მომავალი სეზონის მიმდინარეობისას საზეიმო წვეულებებსა და ბანკეტებს გამართავს. როგორც ბოლნისის „სიონის" პრესრელიზში ვკითხულობთ, „პრემიერისა" და „სიონის" თანამშრომლობა ურთიერთხელსაყრელი და ფეხბურთის კლუბის მომავალი წარმატებების საწინდარი იქნება.

„პრემიერში" შეკრება კლუბის პრეს-სამსახურის უფროსის ჯემალ ჭიპაშვილის საუბრით დაიწყო და მერე „სიონის" მწვრთნელ ნოდარ აკობიას და კლუბის პრეზიდენტ გია დაუშვილის სიტყვებით გაგრძელდა. იქვე ჯემალ ჭიპაშვილმა ერთხელაც აღნიშნა, რომ „სიონის" უცხოელი ფეხბურთელები ტრანსფერზე არიან, თუმცა ამის მიუხედავად, ჩემპიონატში უმაღლესი ადგილებისთვის ვიბრძოლებთო.

ნოდარ აკობიამ, ფაქტობრივად, ახალი გუნდი გავაკეთეთ და რამდენიმე მატჩი ფეხბურთელების შეთამაშებას დასჭირდებაო. მწვრთნელმა ისიც დასძინა, რომ ტრანსფერების უფლება 31 აგვისტომდეა და კიდევ ეცდება ფეხბურთელების დამატებას.

მერე „პრემიერის" პრეზიდენტმა კახა ბასილიამაც თქვა ორიოდ სიტყვა, „სიონის" წარმატების იმედი გამოთქვა და გია დაუშვილს ქვემო ქართლის გუბერნატორ ზურაბ მელიქიშვილთან ის დიპლომი გაატანა, რომელიც რეგიონის უფროსს „შავი ქამრის" მფლობელთა ამქარში საპატიო წოდებას ნიშნავს. „შავი ქამარი", ალბათ იცით, კარატეში უდიდესი წოდებაა.

მოკლედ, დღეიდან, „სიონი" და „პრემიერი" ერთად იწყებენ.

**კობა ინასარიძე**

# სარო და კომპანია
## ქართველ მსაჯებს ქართული ფირმა ჩააცმევს




გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ქავთარაძემ, მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების უფროსმა ამირან კაჭახიძემ, პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა და მსაჯთა ახალი ეკიპირების დამამზადებელი ფირმის „საროს" მენეჯერმა ვახტანგ იორაშვილმა ამ ახალ პროექტზე ისაუბრეს — ამიერიდან ქართველი მსაჯები „საროს" კოხტა ფორმებში გამოეწყობიან...:

გოგი ქავთარაძე: ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს — იხსნება საქართველოს მე-19 ჩემპიონატი. იმედი მაქვს, ამ ჩემპიონატში კიდევ უფრო მეტი საინტერესო მატჩი გაიმართება, რასაც აუცილებლად შეუწყობს ხელს აქამდე უპრეცედენტოდ მაღალ დონეზე გაშუქებაც...

...ადრე არაერთხელ თქმულა მსაჯთა შეცდომებზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ მსაჯები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და არამიზანმიმართული შეცდომა მათაც შეიძლება მოუვიდეთ ისევე, როგორც ეს, მაგალითად, წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო...

...ის, რომ ჩემპიონატი ტელევიზიის მხრიდან მაღალ დონეზე გაშუქდება, სტიმულს არბიტრებსაც მისცემს...

...ჩვენ და პროფესიული ლიგა აქტიურად ვმუშაობთ მსაჯთა ანაზღაურების გაზრდაზე, ვინაიდან ის საჰონორარო სისტემა, რომელიც აქამდე არსებობდა, რბილად რომ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელია...

...ძალიან მიხარია, რომ მსაჯთა ეკიპირების სურვილი ქართულმა კომპანიამ გამოთქვა. თუ რა ხარისხის პროდუქტზეა ლაპარაკი, ამას დრო აჩვენებს, თუმცა იმედი მაქვს, პრეტენზიები არ გვექნება.

პაატა ბურჯალიანი: 15 აგვისტოს გაიმართება პროფესიული ფეხბურთის ლიგის კონფერენცია და გათვალისწინებულია ის პროექტი, რომელიც მსაჯების ანაზღაურების გაზრდას ითვალისწინებს. ვთვლით, რომ ეს იქნება ჩვენი ფეხბურთის დონის ასამაღლებლად გადადგმული კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი.



ამირან კაჭახიძე: კომპანია „საროს" მიერ დამზადებული ეკიპირებით კმაყოფილები ვართ. რაც მთავარია, თვითონ მსაჯებსაც მოსწონთ. ხელშეკრულება ორწლიანია და რამდენიმე სახის კომპლექტის მოწოდებას ითვალისწინებს...

–ყველა მსაჯი საკმაოდ კარგ ფორმაშია. ჩემპიონატისთვის მომზადების მიზნით, ჩვენ ათდღიანი შეკრებაც გავიარეთ ქობულეთში...

–გვყავს რამდენიმე ახალი მსაჯი, მათ შორის, გოგონები. ოთხი მათგანი უკვე მზადაა უმაღლეს ლიგაში სამსაჯოდ, მაგრამ ჯერ მაინც არ ვჩქარობთ...

...მიმდინარეობს თაობათა ცვლის პროცესი. ძალიან მიხარია, რომ სამსაჯო საქმისადმი ინტერესს ახალგაზრდა თაობაც იჩენს.

**კახა ზალამბერიძე**



# ვერ გავიგეთ, რა უნდა

**ფრენკ ლამპარდმა** „ჩელსისთან“ საკონტრაქტო მოლაპარაკებები ერთი წლით გაყინა, თუმცა დასძინა, რომ ამ საქმის გადადებას ხელფასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

მართალი რომ გითხრათ, ის, რაც 29 წლის ვარსკვლავმა თქვა, ჩვენთვის, მთლად გასაგები არ არის, მაგრამ იმედია, დადგება დრო, როდესაც ყველაფერს აგვიხსნიან — საქმე ისაა, რომ ლამპარდის მტკიცებით, ის კარიერის სწორედ „ჩელსიში“ დასრულებაზე ოცნებობს, ოღონდ საყვარელ გუნდთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას მაინც არ ჩქარობს, რადგან იცის, რომ ეს, სავარაუდოდ, მისი ბოლო კონტრაქტი იქნება და არ სურს, ბოლო კონტრაქტი ნაჩქარევი გამოუვიდეს.

გაიგეთ რამე? ესე იგი, ხელფასით უკმაყოფილო არ გახლავართ, მაგრამ კონტრაქტს კიდევ ერთი წელიწადი ხელს მაინც არ მოვაწერო.

„ადრეც მითქვამს, რომ „ჩელსიდან“ არსად წასვლა არ მინდა და ამ ნათქვამს არასდროს გადავთქვამ — განაცხადა ლამპარდმა — თუმცა, შემდეგი კონტრაქტი ჩემს კარიერაში, სავარაუდოდ, ბოლო იქნება და მინდა, მასში ყველაფერი აწონილ-დაწონილი იყოს. აქამდე მოლაპარაკებები ხან წინ მიდიოდა, ხანაც უკან, თუმცა მინდა ყველას გასაგონად განვაცხადო, რომ პრობლემა ჩემი ანაზღაურება არ გახლავთ. მე „ჩელსიში“ ჩემს კარიერას დიდად ვაფასებ. უბრალოდ, არ მინდა, აქ ხალხს დავამახსოვრდე ფეხბურთელად, რომელმაც გუნდში ექვსი სეზონი დაყო და რამდენიმე ჯილდო მოიგო. მინდა, ისტორიაში შევიდე კაცად, რომელმაც კარიერის უმეტესი ნაწილი „ჩელსიში“ გაატარა და ყველაფერი მოიგო. ამიტომ, კლუბის ხელმძღვანელებთან კონტრაქტზე მომავალ ზაფხულს გავაგრძელებ საუბარს და თუ შევთანხმდებით, ძალიან კარგი იქნება. დღეს კი ჩემთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი „ჩელსის“ შემადგენლობაში კარგად თამაშია და ამას ფეხბურთზე სრული კონცენტრაცია სჭირდება“.

**ბაჩუნა ძიძია**

# კოჭმა დევიდს გაუგორა



AFP

**დევიდ ბექჰემმა** დაიჩივლა, რომ თავს საუცხოოდ გრძნობს და ამერიკულ თავსხმაში ოკეანის გაღმა პირველად ითამაშა.

ეს გახლდათ „DC იუნაიტედისა“ და ბექჰემის გუნდის, „ლოს ანჯელეს გალაქსის“ შეხვედრა, რომელიც „იუნაიტედმა“ 1:0 მოიგო და რომლის ბოლო 17 წუთი ბექჰემმა მინდორზე დაყო.

„ჩემს კოჭს არაფერი მოუვა, მერე რა, რომ მოედანი გაქლენთილია. ეს ხომ ინგლისური ამინდია“ — თქვა ბექჰემმა თავისი ცნობილი 23-ნომრიანი მაისურის ჩამოცმის დღეს, მატჩის შემდეგ კი საუბარი ასე განაგრძო: „ახლა, ჩემი კოჭი გაცილებით უკეთაა, ვიდრე ერთი ხნის წინ იყო. რვა კვირის განმავლობაში უქმობა ძალიან ძნელი გასაძლებია და, ბუნებრივია, თამაშის შემდეგ ორგანიზმის გარკვეულ რეაქციას უნდა ველოდო, მაგრამ ზოგადად, ეს მაინც ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ „ლოს ანჯელეს გალაქსიმ“ წააგო. ახლა, მთავარია, მომავლის იმედით აღვივსოთ და მუხლჩაუხრელად ვიმუშაოთ“.

მიუხედავად იმისა, რომ „გალაქსი“ სტუმრად თამაშობდა, ბექჰემს სტადიონზე შეკრებილი 46 686 მაყურებელი ძალიან თბილად მიესალმა. ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ნახევარდაცვის შუაში ითამაშა და როგორც ჟურნალისტებმა დაუთვალეს, შესვლიდან სამი წუთის შემდეგ, ბურთთან მეოთხე შეხებით ტრიბუნებს ტაში მოსწყვიტა. 75-ე წუთზე ბექჰემმა საფირმო საჯარიმო დარტყმით კინაღამ გაათანაბრა ანგარიში.

შეხვედრას ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სტივ მაკლარენი ესწრებოდა და თავისი შესაძლო ქვეშევრდომის თამაშით კმაყოფილი დარჩა.

**ბაჩუნა ძიძია**

## ბრაზილია

**სერია A. XVIII ტური**

ვასკუ და გამა — კორინთიანსი 2:0; სანტოსი — პარანა 2:0; პალმეირასი — ინტერნასიონალი 1:1; გრემიო — ატლეტიკო პრ 3:0

## აშშ

**მეიჯორლიგა. XIX ტური**

DC იუნაიტედი 1:0 ლოს ანჯელეს გალაქსი

# პერსონი და ჩაქუჩსონი



**„ძალიან** მოუსვენარი და საქმიანი კაცი ვარ“ — თქვა „ვესტ ჰემის“ პატრონმა ეგერტ მაგნუსონმა. პურისა და ორცხობილას ბიზნესით გამდიდრებული ისლანდიელი ცხრა თვეა, რაც „ჩაქუჩების“ შეფი გახდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გადაიტანა და მის თავზე მხოლოდ ჩაქუჩი არ დატრიალებულა. 60 წლის მულტიმილიონერის გუნდი პრემიერლიგის ბოლო ტურში „მანჩესტერთან“ სტუმრად მოგებით (1:0) გადაურჩა გავარდნას. გოლი კარლოს ტევესმა გაიტანა და არგენტინელი მოგვიანებით ცალკე პრობლემად ექცა ისლანდიელს. „გარდიანთან“ საუბარში მაგნუსონი ცხრათვიან პერიოდს იხსენებს და მომავალზე ბჭობს.

„მომწონს ფუსფუსი. ამიტომაც ვარ ასე გადაყოლილი „ვესტ ჰემზე“. ყოველ დილას სიახლეებზე ვფიქრობ. გასულ თვეებში ბევრი პრობლემა გვქონდა, მათ შორის კარლოს ტევესის ტრანსფერთან დაკავშირებული საქმე, მაგრამ სასიხარულოც არანაკლები იყო, რასაც სიამოვნებით ვიხსენებ“ — განაცხადა ყოფილმა მეპურემ.

ბოლო ტურში ტევესმა „ოლდ ტრაფორდზე“ გაიტანა და „ჩაქუჩებს“ ელიტაში ადგილი შეუნარჩუნა, მაგრამ პრემიერლიგიდან გავარდნილი „შეფილდ იუნაიტედის“ შეფებმა ვესტჰემელებს უჩივლეს. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ „კარლიტოს“ ტრანსფერი უკანონოა და ამიტომ „ჩაქუჩებს“ ქულები უნდა დააკლონ. შედეგად მაგნუსონის ნატანჯი კლუბი პრემიერლიგიდან გავარდებოდა და „შეფილდი“ მის ადგილს დაიკავებდა. ამ საქმის გამრჩევმა კომისიამ ტრანსფერში კანონდარღვევა აღმოაჩინა, მაგრამ არა ისეთი, რომ „ვესტ ჰემი“ გაევდოთ. სამაგიეროდ, კლუბს 5 მილიონ 500 ათასი გირვანქა ჯარიმა გადაახდევინეს — უმსუყესი პრემიერლიგის ისტორიაში. ტევესის ამბავი არ დამთავრებულა. თითქმის ორი თვის განმავლობაში (ივნისი-ივლისი) ცდილობდა „მანჩესტერ იუნაიტედი“ „კარლიტოს“ შეძენას, მაგრამ ფეხბურთელზე უფლება ირანელ ბიზნესმენ კია ჯურაბჩიანს ჰქონდა და ისე ჩაიხლართა ვითარება, რომ სასამართლოს დახმარებით ძლივს გაირკვა, ვინ ვის ეკუთვნის და ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს.

„ვერასოდეს ვივარაუდებდი, რომ წესები ჩვენს წინააღმდეგ იქნებოდა — გაოცნდა მაგნუსონი — ამ საქმის გარჩევისას რატომღაც ავიწყდებოდათ მთავარი — ტევესი „ვესტ ჰემის“ ფეხბურთელი იყო“.

„კარლიტო“ მანჩესტერელი გახდა. „ჩაქუჩებმა“ ორი მილიონი გირვანქა მიიღეს, ჯურაბჩიანმა 10 წაიღო.

ისლანდიელს გული იმან დასწყვიტა, რომ „ინგლისური ფეხბურთის აკადემიად“ შერაცხული „ვესტ ჰემი“ ლამის ყველაზე საძულველ გუნდად აქციეს მტრებმა, „შეფილდ იუნაიტედის“ თამადობით.

„ჩვენი კლუბის სიბინძურეში ჩათრევას ლამობდნენ ზოგიერთი ჩემი კოლეგა და სწორედ ეს მწყინს — დაიჩივლა მაგნუსონმა — საბედნიეროდ, სასიხარულო ამბებიც იყო ამ ხნის განმავლობაში. კარლოს ტევესი ნამდვილად დიდებული ფეხბურთელია და გამარჯვებას მოწყურებული. ძალიან მინდოდა მისი შენარჩუნება, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში თამაში სურს და ძალით ვერ დავაკავებდით“.

ისლანდიელმა 23 მილიონ 500 ათასი გირვანქა დახარჯა ამ ზაფხულს კრეიგ ბელამის, სკოტ პარკერის, ფრედი ლიუნგბერგის და ჟულიენ ფობერის შესაძენად, რის გამოც „სანდერლენდის“ პატრონმა ნაილ ქუინმა გააკრიტიკა.

„ყველაზე მეტად მაშმაგებს ის ფაქტი, რომ ორცხობილების გაყიდვით გამდიდრებული ხალხი მოდის პრემიერლიგაში და ფეხბურთში ჭიპმოჭრილ მწვრთნელებს ჭკუას არიგებენ“ — გაცხარდა ნაილ ქუინი, რაზეც ეგერტ მაგნუსონმა განაცხადა: „ეს რომ წავიკითხე, გამიკვირდა. მან ბევრი კარგი რამ გააკეთა „სანდერლენდისთვის“, არ ვიცი, რა დავუშავეთ. მიუხედავად ამისა, ქუინს, როგორც ყოფილ ფეხბურთელს, პატივს ვცემ“.

ისლანდიელ ბიზნესმენს, რომელიც ადრე თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და უეფას აღმასკომის წევრი იყო, სახელფასო პოლიტიკაც დაუწუნეს „ვესტ ჰემში“. ამბობენ, რომ ლიუნგბერგი და მისნაირი ცნობილი, მაგრამ კარიერის დასალიერისკენ მიმავალი ფეხბურთელები კვირაში 72 ათას გირვანქას იღებენ. მაგნუსონი კი ამტკიცებს, რომ კლუბში სახელფასო ზღვარი 55 ათასია.

„ვესტ ჰემს“ დარენ ბენტის ყიდვაც უნდოდა და მეტ ჯამაგირსაც ჰპირდებოდა, მაგრამ ფორვარდმა „ტოტენჰემი“ არჩია, რომელმაც 17 მილიონი გირვანქა გადაუხადა „ჩარლტონს“. „გარდიანის“ კითხვაზე, ღირს თუ არა ბენტი ორით მეტი ტიერი ანრიზე („ბარსელონამ“ 15 მილიონ გირვანქად შეიძინა), მაგნუსონმა ასე უპასუხა: „ძნელია შეფასება. ბენტისნაირი ახალგაზრდა ფორვარდები, რომლებსაც ყოველწლიურად მეტი და მეტი გოლები გააქვთ, ძვირდებიან, რაც ბუნებრივია. თუ ასე კარგად თამაშს გააგრძელებს, სამი წლის შემდეგ კიდევ უფრო [illegible].

„ჩაქუჩები“ „ნიუკასლიდან“ კიერონ დაიერის [illegible] ლამობდნენ და თითქმის მოგვარებული ტრანსფერი ჩაეშალათ. „კაჭკაჭების“ ახალმა პატრონმა მაიკ ეშლიმ დაიერის ფასი 6 მილიონი გირვანქიდან რვამდე ასწია და ეგერტ მაგნუსონი კიდევ ერთხელ დარჩა გაოცებული: „ასეთ რამეს არ ველოდი. ყველაფერი შეთანხმებული იყო და ბიჭს სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო. ამ დროს მაიკ ეშლიმ დარეკა და ორი მილიონით მეტი მოითხოვა“.

შარშან დეკემბერში, როცა ეგერტ მაგნუსონმა, მწვრთნელად ალან კერბიშლი მიიწვია, უმალ წარმატებას არ ელოდა, მაგრამ 11 მატჩიდან მხოლოდ ერთის მოგების შემდეგ ისლანდიელი ანერვიულდა: „ნამდვილად შემეშინდა, მაგრამ არასოდეს ჩამიქნევია ხელი და არ მითქვამს — მორჩა, ჩვენ წლეულს პრემიერლიგიდან გავვარდებით. როცა კლუბის პატრონი ხარ, პირველ რიგში შენ უნდა აჩვენო გუნდს, რომ ბოლომდე იბრძოლებ. ცხადია, ბევრი ღამე თეთრად გავათენე, მაგრამ მუდამ ოპტიმისტურად ვუყურებდი მომავალს“.

ისლანდიელს ისე უყვარს ფეხბურთი, რომ ყოველდღიურად შედის „ვესტ ჰემის“ ვებგვერდის ჩატში: „ძალიან მნიშვნელოვანია გულშემატკივრის აზრი — თქვა მაგნუსონმა — უნდა იცოდე, რას ფიქრობენ ისინი, რადგან როცა ფეხბურთში საქმიანობ, ურთიერთობა გაქვს ხალხთან და მათ ემოციებთან. ეს უფრო სენტიმენტალური ბიზნესია, ვიდრე პურის ცხობა. ამიტომაცაა, რომ ბოლო ტურში „ოლდ ტრაფორდზე“ გამარჯვება არასოდეს დამავიწყდება. თუმც ისიც კარგად მახსოვს, მატჩის წინ ჩაფუშული ბურთივით რომ ვიყავი. რამდენიმე დღის განმავლობაში ვზეიმობდი ამ გამარჯვებას და თავი ზღაპარში მეგონა. ჩვენ ხომ თითქმის შეუძლებელი გავაკეთეთ!“

ერთი წლის წინ ეგერტ მაგნუსონი თავისი ბიზნესით იყო დაკავებული.

„შარშან აგვისტოში არც მიფიქრია, რომ პრემიერლიგაში აღმოვჩნდებოდი — გაიხსენა ისლანდიელმა — ყველაფერი სექტემბერში დაიწყო. არადა, ამერიკაში ვაპირებდი წასვლას, მაგრამ ჩემმა ბიზნესპარტნიორმა ბიორგოლფურ გუნდმუნდსონმა (ყოფილი ფეხბურთელი, რომელიც მილიარდერი გახდა საბანკო საქმით) „ვესტ ჰემის“ ვარიანტი შემომთავაზა და კლუბი 85 მილიონ გირვანქად შევიძინეთ. ჩვენ ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს, რაც ურთიერთობას გვიადვილებს. დაახლოებით 2-3 წელიწადში უეფას თასზე გასვლას ვგეგმავთ, მერე კი ვიმედოვნებთ, რომ გუნდი ზედა ოთხეულშიც რეგულარულად მოხვდება და ყოველწლიურად ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს ახალ სტადიონზე. გვსურს, რომ „ვესტ ჰემი“ „ბარსელონას“ და „რეალს“ დაემსგავსოს მარკეტინგის მხრივ. ვფიქრობ, შესაძლებელია ასეთ დიდ კლუბებთან ტოლ-სწორად შეჯიბრი“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ᲔᲡᲚᲐ ᲐᲙᲚᲓᲐ!



2007 წლის ჩემპიონი: „მანჩესტერ იუნაიტედი“

AFP

**ტაილანდელიღა აკლდა პრემიერლიგას და ისიც შეძვრა ინგლისურ ფეხბურთში. მილიარდერმა ტაქსინ შინავატრამ „მანჩესტერ სიტი“ იყიდა და ახლა მხოლოდ 11 კლუბიღა დარჩა, რომლებსაც უცხოელი არ პატრონობს.**

**„ასტონ ვილა“ ამერიკელი რენდი ლერნერისაა, ვისაც კლუბის ემბლემა ერთგულების ნიშნად კოჭზე ახატია, „ბირმინგემი“ ჩინელმა კარსონ იუნგმა შეიძინა, „ჩელსის“ რუსი რომან აბრამოვიჩი თავს ევლება, „ფულემს“ ეგვიპტელი მოჰამედ ალ ფაიედი პატრონობს, „ლივერპულს“ — ამერიკელი ჯორჯ ჯილეტი, „ვესტ ჰემი“ ისლანდიელმა ეგერტ მაგნუსონმა მიისაკუთრა, „პორტსმუთი“ — რუსმა არკადი გაიდამაკმა, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამერიკელმა მალკოლმ გლეიზერმა. ფული და ხარისხი პრემიერლიგაში ყოველწლიურად მატულობს და ჩემპიონობაც უფრო და უფრო ძვირდება. „ჩელსის“ ორწლიანი ბატონობა გასულ სეზონში მხეცურად მოთამაშე „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაამხო და ჩემპიონატი, რომელიც დღეს იწყება, წინაზე უკეთესი უნდა გამოვიდეს.**

## მანჩესტერი

ოუენ ჰარგრივსი — 17 მილიონი გირვანქა, ნანი — 16 მილიონი, ანდერსონი 13 და ზედაც კარლოს ტევესი, რომლის ფასიც დაუდგენელია. ინგლისის ჩემპიონმა ნაირნაირი ფეხბურთელები მიიყვანა გუნდში და ალექს ფერგიუსონს ამ სეზონში უნდა ის, რაც წინაში ვერ მოახერხა — ოთხი ჯილდოს მოგება: პრემიერლიგა, ასოციაციის თასი, ლიგის თასი და ჩემპიონთა ლიგა.

ზემოთ ჩამოთვლილებს გუნდში არანაკლები ბიჭები დახვდნენ: კრიშტიანუ რონალდუ და უეინ რუნი, რომლებიც კვლავ ფერგიუსონის მთავარი „იარაღები“ არიან. თვალსასეირო სანახავი იქნება კარლოს ტევესის და უეინ რუნის წყვილი შეტევაში.

## ჩელსი

ზედიზედ ორგზის ჩემპიონ „ჩელსის“ პატრონმა რომან აბრამოვიჩმა წლეულს საფულეს მაგრად ჩაავლო ხელი და ფლორენ მალუდას საყიდლად ძლივს გამოჰგლიჯეს 13 მილიონი გირვანქა. გუნდმა მუქთები ნახა: სტივ სიდუელში, კლაუდიო პიზაროში და ტალ ბენ ჰაიმში ფული არ გადაუხდია.

რა თქმა უნდა, „ჩელსი“ ისევ უპირველესი კონკურენტი იქნება „მანჩესტერისა“, რომელთანაც წინა კვირას სუპერთასზე პენალტებით დამარცხდა.

## ლივერპული

ჩემპიონთა თასის ფინალისტმა 32 მილიონი გირვანქა დახარჯა და აქედან 26 მილიონ 500 ათასი „ატლეტიკოს“ ფორვარდ ფერნანდო ტორესში გადაიხადა. „ლივერპულს“ აშკარად უჭირდა თავდასხმაში და კარგი მეგოლე სჭირდებოდა. ესპანელს მადრიდულ კლუბში 214 მატჩში 82 გოლი გაუტანია, ნაკრებში კი 42-ში — 14.

ტორესს დაეხმარება ჰოლანდიელი შემტევი ნახევარმცველი რაიან ბაბელი და უკრაინელი ფორვარდი ანდრეი ვორონინი, რომელსაც „ლევერკუზენთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და უფასოდ ერგო „ლივერპულს“.

ასეთი გუნდით ეცდება რაფაელ ბენიტესი ჩემპიონობის მოპოვებას, რასაც გუნდი უკვე 17 წელია, მისი გუნდი ელის. მერსისაიდული კლუბი კი ამ ზაფხულს გვარიანად დაიბერტყა — კრეიგ ბელამი, ჯიბრილ სისე, ლუის გარსია, ბუდევინ ზენდენი, ირჟი დუდეკი და რობი ფაულერი სხვადასხვა გუნდებში დაიფანტნენ.

## არსენალი

უანრო ეპოქა იწყება „არსენალში“. ფრანგ ფორვარდს „ბარსელონაში“ გადასვლა შარშანაც უნდოდა და წლეულს მაინც დაადგა კატალონიის გზას.

„მეთოფეებმა“ ზაგრების „დინამოდან“ გახორვატებული ბრაზილიელი ედუარდო და სილვა იყიდეს 7 მილიონ 500 ათას გირვანქად. ბაკარი სანა „ოსერიდან“ და მეკარე ლუკაშ ფაბიანსკი „ლეგიადან“.

„არსენალიდან“ ბუზღუნით წავიდა შვედი ფრედი ლიუნგბერგი. ტიერი ანრის აბარგების მერე „მეთოფეების“ სესკ ფაბრეგასი ულიდერებს, რომელსაც მაისში შეუსრულდა 20 წელი, მაგრამ უკვე დალევინებული „მეთოფეა“ — 149 მატჩი ითამაშა.

## ტოტენჰემი

„მამლები“ უკვე ორი სეზონია, ოთხეულში შესვლას ცდილობენ, მაგრამ მეხუთე ადგილს ვერ ასცდნენ. ამ ზღვარის გადასალახავად მარტინ იოლმა თავდასხმა კიდევ უფრო გააძლიერა და „ჩარლტონის“ მეგოლე დარენ ბენტი 16 მილიონ 500 ათას გირვანქად იყიდა.

„ტოტენჰემი“ კოხტა ფეხბურთს თამაშობს და ჟოზე მაურინიუს აზრით, ჩემპიონობაზეც კი შეუძლია გაიქაჩოს.

„მამლების“ თავდასხმა შთამბეჭდავია: ბერბატოვი, კინი, ბენტი.

## ევერტონი

„ევერტონმა“ წინა სეზონში მეექვსე ადგილი დაიკავა და ამჯერადაც ალბათ უეფას თასზე გასვლისთვის იბრძოლებს. კლუბს არ აქვს იმდენი ფული, რომ ვარსკვლავები იყიდოს და საჩემპიონოდ იბრძოლოს, მაგრამ ვარსკვლავებით გადატენილ ნებისმიერ გუნდს „გუდისონ პარკზე“ დააჩოქებს. ევერტონელებმა მცველი ლეიტონ ბეინსი, ნახევარმცველი სტივენ პიენაარი, ფილ იაგიელკა და ფორვარდი ლუკაშ იუტკიევიჩი დაიმატეს. გუნდის მთავარი ფეხბურთელი კვლავ ტიმ კეჰილი იქნება — ავსტრალიელი მეგოლე ნახევარმცველი ტრავმის გამო სეზონის დასაწყისს გამოტოვებს.

## ბოლტონი

„ნიუკასლში“ წასული მწვრთნელი სემ ალარდაისი სეხნია ლიმ შეცვალა. ბოლტონელთა ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველ ტალ ბენ ჰაიმს კონტრაქტი დაუსრულდა და „ჩელსის“ მიაშურა. სემ ლიმ ჰეიდარ ჰელგუსონი და კრისტიან ვილჰელმსონი გადაიბირა. ლის ალარდაისის სახელი კი ჰქვია, მაგრამ შეუძლია თუ არა მასსავით სტაბილურად კარგად ათამაშოს გუნდი, ჩემპიონატში გამოჩნდება.

„ბოლტონის“ ფანები შიშობენ, იგივე არ დაემართოთ, რაც „ჩარლტონს“ გადახდა. „ჩარლტონს“ შვიდი წლის განმავლობაში ალან კერბიშლი წვრთნიდა და დაანება თუ არა თავი, გუნდი გავარდა. ასევე დიდხანს მუშაობდა „ბოლტონში“ სემ ალარდაისიც.

## რედინგი

გუნდის გული სტივ სიდუელი „ჩელსიმ“ წაიყვანა და ამ სეზონში ალბათ პრემიერლიგაში დასარჩენად ბრძოლა მოუწევთ. სიდუელის შემცვლელი კი ფრანგი კალიფა სისე იქნება. „რედინგმა“ მცველი ანდრე ბიკეი და ნახევარმცველი ემერს ფაე იყიდა.

## პორტსმუთი

რვა ფეხბურთელი მიიყვანა გუნდში ჰარი რედნაპმა, რადგან წინა სეზონის მეცხრე ადგილი არ აკმაყოფილებს და უეფას თასზე გამსვლელი საფეხურის დაკავება უნდა. პორტელებმა ჯონ უტაკა, სულეი ალი მუნტარი, დევიდ ნაჯენტი, არნოლდ მვუემბა, სილვენ დისტინი, ჰერმან ჰრეიდარსონი, მარტინ კრეინი და კალუმან რეინოლდსი იყიდეს.

## ბლექბერნი

მარკ ჰიუზის გუნდს ორი ფორვარდი შეემატა: როკე სანტა კრუზი „ბაიერნიდან“ და მასეო რიგტერსი „ბრედადან“.

გარდა ამისა, „ბლექბერნმა“ ფარერელი მეკარე გუნარ ნილსენიც იყიდა.

მწვრთნელის მთავარი საზრუნავი მეგოლე ბენი მაკარტის შენარჩუნება იყო და მოახერხა კიდეც წინა სეზონში 18 გოლის გამტანი ფეხბურთელის დატოვება.

## ასტონ ვილა

ბირმინგემულმა კლუბმა „ვესტ ჰემს“ ნაიჯელ რეო-კოკერი და მარლონ ჰარევუდი წაჰგვარა, რაც 12 მილიონ 500 ათასი გირვანქა დაუჯდა.

„ასტონ ვილადან“ ცხრა ფეხბურთელი გაუშვეს, მათ შორის კოლუმბიელი ფორვარდი ხუან პაბლო ანხელი, რომელიც მარადპერსპექტიულად დარჩა. ინგლისელმა თავდამსხმელმა კრის სატონმა კი თვალის ტრავმის გამო კარიერა დაასრულა.

მარტინ ონილის იმედი ამ სეზონშიც გაბრიელ აგბონლაჰორი იქნება — უსწრაფესი ფორვარდი, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

## მიდლსბრო

გარეთ საუთგეიტმა ვერ შეინარჩუნა ავსტრალიელი ფორვარდი მარკ ვიდუკა, რომელიც „ნიუკასლისკენ“ იწევდა და გადავიდა კიდეც. „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ დევიდ ბექჰემს შეუამხანაგდა პორტუგალიელი მცველი აბელ შავიერი.

ვიდუკას ნაცვლად „მიდლსბრომ“ ორი თავდამსხმელი შეიძინა: თუნჯაი შანლი და ჯერემი ალიადიერი, „ჩარლტონიდან“ კი მცველი ლუკ იანგი გადაიყვანა.

## ნიუკასლი

„კაჭკაჭებში“ მივიდა სემ ალარდაისი და მაიკლ ოუენს უთხრა, ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ მოგართმევ და ბრძოლა მოგიწევსო.

„ბოლტონის“ ყოფილი თავკაცი გუნდს თავის ჭკუაზე აშენებს. „ნიუკასლიდან“ დაითხოვა სკოტ პარკერი, ტიტუს ბრამბლი, ანტუან სიბიერსკი და ალან ობრაიენი. სანაცვლოდ მიიყვანა ჯოი ბარტონი, დავიდ როზენალი, მარკ ვიდუკა და ჯერემი ნჯიტაპი.

## [illegible]

ბრიტანულ მედიის [illegible]ბა სა[illegible] ინგლისის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონზე. შვედი „მანჩესტერ სიტის“ თავკაცი გახდა და კლუბის პატრონმა ტაქსინ შინავატრამ ფული არ დაიშურა გუნდის გასაძლიერებლად. ფორვარდი როლანდო ბიანკი „რეჯინადან“ 8 მილიონ 800 ათას გირვანქად იყიდეს, ნახევარმცველი მარტინ პეტროვი 4 მილიონ 700 ათასად „ატლეტიკოდან“, ჟელსონ ფერნანდესი კი „სიონიდან“. უფასოდ გადაიბირეს ბრაზილიელი ჯოვანი. ერიკსონმა პირველ რიგში თავდამსხმელი იმიტომ იყიდა, რომ „სიტიმ“ წინა სეზონში ლიგის ანტირეკორდი დაამყარა — საშინაო მატჩებში მხოლოდ 10 გოლი გაიტანა.

## ვესტ ჰემი

ივლისის შუამდე „ვესტ ჰემმა“ არ იცოდა, ითამაშებდა თუ არა პრემიერლიგაში. გუნდს „შეფილდი“ უჩიოდა და შეიძლებოდა, გაეგდო ლიგიდან. ამას დაემატა კარლოს ტევესის გაწელილი ამბავიც, მაგრამ ამ არეულობაში „ჩაქუჩებმა“ კრეიგ ბელამი, სკოტ პარკერი, ჟულიენ ფობერი, ფრედი ლიუნგბერგი და მეკარე რიჩარდ რაიტი მაინც გადაიბირეს.

ალბათ „ვესტ ჰემს“ შარშანდელივით დრამატული სეზონი აღარ ელის, როცა გავარდნას ბოლო ტურში გადაურჩა, რადგან მწვრთნელი ალან კერბიშლი თავიდანვე მიხედავს საქმეს. წინა სეზონში მან გუნდი დეკემბერში ჩაიბარა და აწყობა გაუჭირდა.

## ფულემი

ლონდონური კლუბი ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა ლოური სანჩესმა ჩაიბარა კრის კოულმენისგან და ბევრი თანამემამულე მიიყვანა გუნდში. მათ შორის ნაკრების ფორვარდი დევიდ ჰილი „ლიდსიდან“ და აარონ ჰიუზი და სტივენ დევისი „ასტონ ვილადან“.

## უიგანი

გავარდნას ძლივს გადაურჩა და ამიტომაც იაქტიურა ამ ზაფხულს ბაზარზე. კრის ჰაჩინგსმა გუნდში მიიყვანა ჯეისონ კუმასი, კარლო ნეში, ანდრეას გრანკვისტი, ტიტუს ბრამბლი, ანტუან სიბიერსკი და მარიო მელხიოტი.

## სანდერლენდი

20 მილიონ გირვანქამდე დახარჯა კლუბის პატრონმა ნაილ ქუინმა „სანდერლენდის“ გასაძლიერებლად და შვიდი ფეხბურთელი იყიდა. როი კინი შარშან გახდა გუნდის მწვრთნელი და „შავი კატები“ სულ სირბილით აიყვანა პრემიერლიგაში.

## ახლები

ასევე შვიდი ფეხბურთელი შეიძინა „ბირმინგემმა“. მათ შორის „კუვენტუსიდან“ ოლივიე კაპო და მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ გარი ოკონორი.

რაც შეეხება „დერბის“, ყველაზე ძვირი დაუჯდათ უელსის ნაკრების მეგოლე რობერტ ერნშოუ, რომლის სანაცვლოდაც „ნორვიჩს“ 4 მილიონამდე გირვანქა ჩაუთვალეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ინგლისი. პრემიერლიგა 2007-2008

## 2007 წელი

**1-ლი ტური, 11 აგვისტო**
არსენალი : ფულემი
ასტონ ვილა : ლივერპული
ბოლტონი : ნიუკასლი
ჩელსი : ბირმინგემი
დერბი : პორტსმუთი
ევერტონი : უიგანი
მანჩესტერი : რედინგი
მიდლსბრო : ბლექბერნი
სანდერლენდი : ტოტენჰემი
ვესტ ჰემი : სიტი

**მე-2 ტური, 14-15 აგვისტო**
ბირმინგემი : სანდერლენდი
პორტსმუთი : მანჩესტერი
რედინგი : ჩელსი
ტოტენჰემი : ევერტონი
უიგანი : მიდლსბრო
ბლექბერნი : ასტონ ვილა
ფულემი : ბოლტონი
სიტი : დერბი
ლივერპული : ვესტ ჰემი
ნიუკასლი : არსენალი

**მე-3 ტური, 18 აგვისტო**
ბირმინგემი : ვესტ ჰემი
ბლექბერნი : არსენალი
ფულემი : მიდლსბრო
ლივერპული : ჩელსი
სიტი : მანჩესტერი
ნიუკასლი : ასტონ ვილა
პორტსმუთი : ბოლტონი
რედინგი : ევერტონი
ტოტენჰემი : დერბი
უიგანი : სანდერლენდი

**მე-4 ტური, 25 აგვისტო**
არსენალი : სიტი
ასტონ ვილა : ფულემი
ბოლტონი : რედინგი
ჩელსი : პორტსმუთი
დერბი : ბირმინგემი
ევერტონი : ბლექბერნი
მანჩესტერი : ტოტენჰემი
მიდლსბრო : ნიუკასლი
სანდერლენდი : ლივერპული
ვესტ ჰემი : უიგანი

**მე-5 ტური, 1 სექტემბერი**
არსენალი : პორტსმუთი
ასტონ ვილა : ჩელსი
ბლექბერნი : სიტი
ბოლტონი : ევერტონი
ფულემი : ტოტენჰემი
ლივერპული : დერბი
მანჩესტერი : სანდერლენდი
მიდლსბრო : ბირმინგემი
ნიუკასლი : უიგანი
რედინგი : ვესტ ჰემი

**მე-6 ტური, 15 სექტემბერი**
ბირმინგემი : ბოლტონი
ჩელსი : ბლექბერნი
დერბი : ნიუკასლი
ევერტონი : მანჩესტერი
სიტი : ასტონ ვილა
პორტსმუთი : ლივერპული
სანდერლენდი : რედინგი
ტოტენჰემი : არსენალი
ვესტ ჰემი : მიდლსბრო
უიგანი : ფულემი

**მე-7 ტური, 22 სექტემბერი**
არსენალი : დერბი
ასტონ ვილა : ევერტონი
ბლექბერნი : პორტსმუთი
ბოლტონი : ტოტენჰემი
ფულემი : სიტი
ლივერპული : ბირმინგემი
მანჩესტერი : ჩელსი
მიდლსბრო : სანდერლენდი
ნიუკასლი : ვესტ ჰემი
რედინგი : უიგანი

**მე-8 ტური, 29 სექტემბერი**
ბირმინგემი : მანჩესტერი
ჩელსი : ფულემი
დერბი : ბოლტონი
ევერტონი : ნიუკასლი
სიტი : მიდლსბრო
პორტსმუთი : რედინგი
სანდერლენდი : ბლექბერნი
ტოტენჰემი : ასტონ ვილა
ვესტ ჰემი : არსენალი
უიგანი : ლივერპული

**მე-9 ტური, 6 ოქტომბერი**
არსენალი : სანდერლენდი
ასტონ ვილა : ვესტ ჰემი
ბლექბერნი : ბირმინგემი
ბოლტონი : ჩელსი
ფულემი : პორტსმუთი
ლივერპული : ტოტენჰემი
მანჩესტერი : უიგანი
მიდლსბრო : ევერტონი
ნიუკასლი : სიტი
რედინგი : დერბი

**მე-10 ტური, 20 ოქტომბერი**
არსენალი : ბოლტონი
ასტონ ვილა : მანჩესტერი
ბლექბერნი : რედინგი
ევერტონი : ლივერპული
ფულემი : დერბი
სიტი : ბირმინგემი
მიდლსბრო : ჩელსი
ნიუკასლი : ტოტენჰემი
ვესტ ჰემი : სანდერლენდი
უიგანი : პორტსმუთი

**მე-11 ტური, 27 ოქტომბერი**
ბირმინგემი : უიგანი
ბოლტონი : ასტონ ვილა
ჩელსი : სიტი
დერბი : ევერტონი
ლივერპული : არსენალი
მანჩესტერი : მიდლსბრო
პორტსმუთი : ვესტ ჰემი
რედინგი : ნიუკასლი
სანდერლენდი : ფულემი
ტოტენჰემი : ბლექბერნი

**მე-12 ტური, 3 ნოემბერი**
არსენალი : მანჩესტერი
ასტონ ვილა : დერბი
ბლექბერნი : ლივერპული
ევერტონი : ბირმინგემი
ფულემი : რედინგი
სიტი : სანდერლენდი
მიდლსბრო : ტოტენჰემი
ნიუკასლი : პორტსმუთი
ვესტ ჰემი : ბოლტონი
უიგანი : ჩელსი

**მე-13 ტური, 10 ნოემბერი**
ბირმინგემი : ასტონ ვილა
ბოლტონი : მიდლსბრო
ჩელსი : ევერტონი
დერბი : ვესტ ჰემი
ლივერპული : ფულემი
მანჩესტერი : ბლექბერნი
პორტსმუთი : სიტი
რედინგი : არსენალი
სანდერლენდი : ნიუკასლი
ტოტენჰემი : უიგანი

**მე-14 ტური, 24 ნოემბერი**
არსენალი : უიგანი
ბირმინგემი : პორტსმუთი
ბოლტონი : მანჩესტერი
დერბი : ჩელსი
ევერტონი : სანდერლენდი
ფულემი : ბლექბერნი
სიტი : რედინგი
მიდლსბრო : ასტონ ვილა
ნიუკასლი : ლივერპული
ვესტ ჰემი : ტოტენჰემი

**მე-15 ტური, 1 დეკემბერი**
ასტონ ვილა : არსენალი
ბლექბერნი : ნიუკასლი
ჩელსი : ვესტ ჰემი
ლივერპული : ბოლტონი
მანჩესტერი : ფულემი
პორტსმუთი : ევერტონი
რედინგი : მიდლსბრო
სანდერლენდი : დერბი
ტოტენჰემი : ბირმინგემი
უიგანი : სიტი

**მე-16 ტური, 8 დეკემბერი**
ასტონ ვილა : პორტსმუთი
ბლექბერნი : ვესტ ჰემი
ბოლტონი : უიგანი
ჩელსი : სანდერლენდი
ევერტონი : ფულემი
მანჩესტერი : დერბი
მიდლსბრო : არსენალი
ნიუკასლი : ბირმინგემი
რედინგი : ლივერპული
ტოტენჰემი : სიტი




**მე-17 ტური, 15 დეკემბერი**
არსენალი : ჩელსი
ბირმინგემი : რედინგი
დერბი : მიდლსბრო
ფულემი : ნიუკასლი
ლივერპული : მანჩესტერი
სიტი : ბოლტონი
პორტსმუთი : ტოტენჰემი
სანდერლენდი : ასტონ ვილა
ვესტ ჰემი : ევერტონი
უიგანი : ბლექბერნი

**მე-18 ტური, 22 დეკემბერი**
არსენალი : ტოტენჰემი
ასტონ ვილა : სიტი
ბლექბერნი : ჩელსი
ბოლტონი : ბირმინგემი
ფულემი : უიგანი
ლივერპული : პორტსმუთი
მანჩესტერი : ევერტონი
მიდლსბრო : ვესტ ჰემი
ნიუკასლი : დერბი
რედინგი : სანდერლენდი

**მე-19 ტური, 26 დეკემბერი**
ბირმინგემი : მიდლსბრო
ჩელსი : ასტონ ვილა
დერბი : ლივერპული
ევერტონი : ბოლტონი
სიტი : ბლექბერნი
პორტსმუთი : არსენალი
სანდერლენდი : მანჩესტერი
ტოტენჰემი : ფულემი
ვესტ ჰემი : რედინგი
უიგანი : ნიუკასლი

**მე-20 ტური, 29 დეკემბერი**
ბირმინგემი : ფულემი
ჩელსი : ნიუკასლი
დერბი : ბლექბერნი
ევერტონი : არსენალი
სიტი : ლივერპული
პორტსმუთი : მიდლსბრო
სანდერლენდი : ბოლტონი
ტოტენჰემი : რედინგი
ვესტ ჰემი : მანჩესტერი
უიგანი : ასტონ ვილა

## 2008 წელი

**21-ე ტური, 1 იანვარი**
არსენალი : ვესტ ჰემი
ასტონ ვილა : ტოტენჰემი
ბლექბერნი : სანდერლენდი
ბოლტონი : დერბი
ფულემი : ჩელსი
ლივერპული : უიგანი
მანჩესტერი : ბირმინგემი
მიდლსბრო : სიტი
ნიუკასლი : ევერტონი
რედინგი : პორტსმუთი

**22-ე ტური, 12 იანვარი**
არსენალი : ბირმინგემი
ასტონ ვილა : რედინგი
ბოლტონი : ბლექბერნი
ჩელსი : ტოტენჰემი
დერბი : უიგანი
ევერტონი : სიტი
მანჩესტერი : ნიუკასლი
მიდლსბრო : ლივერპული
სანდერლენდი : პორტსმუთი
ვესტ ჰემი : ფულემი

**23-ე ტური, 19 იანვარი**
ბირმინგემი : ჩელსი
ბლექბერნი : მიდლსბრო
ფულემი : არსენალი
ლივერპული : ასტონ ვილა
სიტი : ევერტონი
ნიუკასლი : ბოლტონი
პორტსმუთი : დერბი
რედინგი : მანჩესტერი
ტოტენჰემი : სანდერლენდი
უიგანი : ევერტონი

**24 ტური, 29-30 იანვარი**
არსენალი : ნიუკასლი
ბოლტონი : ფულემი
დერბი : სიტი
მიდლსბრო : უიგანი
სანდერლენდი : ბირმინგემი
ვესტ ჰემი : ლივერპული
ასტონ ვილა : ბლექბერნი
ჩელსი : რედინგი
ევერტონი : ტოტენჰემი
მანჩესტერი : პორტსმუთი

**25-ე ტური, 2 თებერვალი**
ბირმინგემი : დერბი
ბლექბერნი : ევერტონი
ფულემი : ასტონ ვილა
ლივერპული : სანდერლენდი
სიტი : არსენალი
ნიუკასლი : მიდლსბრო
პორტსმუთი : ჩელსი
რედინგი : ბოლტონი
ტოტენჰემი : მანჩესტერი
უიგანი : ვესტ ჰემი

**26-ე ტური, 9 თებერვალი**
არსენალი : ბლექბერნი
ასტონ ვილა : ნიუკასლი
ბოლტონი : პორტსმუთი
ჩელსი : ლივერპული
დერბი : ტოტენჰემი
ევერტონი : რედინგი
მანჩესტერი : სიტი
მიდლსბრო : ფულემი
სანდერლენდი : უიგანი
ვესტ ჰემი : ბირმინგემი

**27-ე ტური, 23 თებერვალი**
ბირმინგემი : არსენალი
ბლექბერნი : ბოლტონი
ფულემი : ვესტ ჰემი
ლივერპული : მიდლსბრო
სიტი : ევერტონი
ნიუკასლი : მანჩესტერი
პორტსმუთი : სანდერლენდი
რედინგი : ასტონ ვილა
ტოტენჰემი : ჩელსი
უიგანი : დერბი

**28-ე ტური, 1 მარტი**
არსენალი : ასტონ ვილა
ბირმინგემი : ტოტენჰემი
ბოლტონი : ლივერპული
დერბი : სანდერლენდი
ევერტონი : პორტსმუთი
ფულემი : მანჩესტერი
სიტი : უიგანი
მიდლსბრო : რედინგი
ნიუკასლი : ბლექბერნი
ვესტ ჰემი : ჩელსი

**29-ე ტური, 8 მარტი**
ასტონ ვილა : მიდლსბრო
ბლექბერნი : ფულემი
ჩელსი : დერბი
ლივერპული : ნიუკასლი
მანჩესტერი : ბოლტონი
პორტსმუთი : ბირმინგემი
რედინგი : სიტი
სანდერლენდი : ევერტონი
ტოტენჰემი : ვესტ ჰემი
უიგანი : არსენალი

**30-ე ტური, 15 მარტი**
არსენალი : მიდლსბრო
ბირმინგემი : ნიუკასლი
დერბი : მანჩესტერი
ფულემი : ევერტონი
ლივერპული : რედინგი
სიტი : ტოტენჰემი
პორტსმუთი : ასტონ ვილა
სანდერლენდი : ჩელსი
ვესტ ჰემი : ბლექბერნი
უიგანი : ბოლტონი

**31-ე ტური, 22 მარტი**
ასტონ ვილა : სანდერლენდი
ბლექბერნი : უიგანი
ბოლტონი : სიტი
ჩელსი : არსენალი
ევერტონი : ვესტ ჰემი
მანჩესტერი : ლივერპული
მიდლსბრო : დერბი
ნიუკასლი : ფულემი
რედინგი : ბირმინგემი
ტოტენჰემი : პორტსმუთი

**32-ე ტური, 29 მარტი**
ბირმინგემი : სიტი
ბოლტონი : არსენალი
ჩელსი : მიდლსბრო
დერბი : ფულემი
ლივერპული : ევერტონი
მანჩესტერი : არსენალი
პორტსმუთი : უიგანი
რედინგი : ბლექბერნი
სანდერლენდი : ვესტ ჰემი
ტოტენჰემი : ნიუკასლი

**33-ე ტური, 5 აპრილი**
არსენალი : ლივერპული
ასტონ ვილა : ბოლტონი
ბლექბერნი : ტოტენჰემი
ევერტონი : დერბი
ფულემი : სანდერლენდი
სიტი : ჩელსი
მიდლსბრო : მანჩესტერი
ნიუკასლი : რედინგი
ვესტ ჰემი : პორტსმუთი
უიგანი : ბირმინგემი

**34-ე ტური, 12 აპრილი**
ბირმინგემი : ევერტონი
ბოლტონი : ვესტ ჰემი
ჩელსი : უიგანი
დერბი : ასტონ ვილა
ლივერპული : ბლექბერნი
მანჩესტერი : არსენალი
პორტსმუთი : ნიუკასლი
რედინგი : ფულემი
სანდერლენდი : სიტი
ტოტენჰემი : მიდლსბრო

**35-ე ტური, 19 აპრილი**
არსენალი : რედინგი
ასტონ ვილა : ბირმინგემი
ბლექბერნი : მანჩესტერი
ევერტონი : ჩელსი
ფულემი : ლივერპული
სიტი : პორტსმუთი
მიდლსბრო : ბოლტონი
ნიუკასლი : სანდერლენდი
ვესტ ჰემი : დერბი
უიგანი : ტოტენჰემი

**36-ე ტური, 26 აპრილი**
ბირმინგემი : ლივერპული
ჩელსი : მანჩესტერი
დერბი : არსენალი
ევერტონი : ასტონ ვილა
სიტი : ფულემი
პორტსმუთი : ბლექბერნი
სანდერლენდი : მიდლსბრო
ტოტენჰემი : ბოლტონი
ვესტ ჰემი : ნიუკასლი
უიგანი : რედინგი

**37-ე ტური, 3 მაისი**
არსენალი : ევერტონი
ასტონ ვილა : უიგანი
ბლექბერნი : დერბი
ბოლტონი : სანდერლენდი
ფულემი : ბირმინგემი
ლივერპული : სიტი
მანჩესტერი : ვესტ ჰემი
მიდლსბრო : პორტსმუთი
ნიუკასლი : ჩელსი
რედინგი : ტოტენჰემი

**38-ე ტური, 11 მაისი**
ბირმინგემი : ბლექბერნი
ჩელსი : ბოლტონი
დერბი : რედინგი
ევერტონი : მიდლსბრო
სიტი : ნიუკასლი
პორტსმუთი : ფულემი
სანდერლენდი : არსენალი
ტოტენჰემი : ლივერპული
ვესტ ჰემი : ასტონ ვილა
უიგანი : მანჩესტერი

# ინგლისის პრემიერლიგა 2007-2008

## მანჩესტერი

წინა სეზონი: ჩემპიონი
28 მოგება, 5 ფრე, 5 წაგება, ბურთები 83:27
89 ქულა

**მეკარეები**

1 ედვინ ვან დერ სარი 29.10.70
29 ტომაშ კუშჩაკი 20.03.82
38 ტომ ჰიტონი 15.04.86

**მცველები**

2 გარი ნევილი 18.02.75
3 პატრის ევრა 15.05.81
4 გაბრიელ ჰაინცე 19.04.78
5 რიო ფერდინანდი 07.11.78
6 უესლი ბრაუნი 13.10.79
15 ნემანია ვიდიჩი 21.10.81
22 ჯონ ოში 30.04.81
26 ფილიპ ბერდსლი 28.06.85
27 მიკაელ სილვესტრი 09.08.77
32 კრეიგ კათკარტი 06.02.89
46 ლი მარტინი 26.10.85

**ნახევარმცველები**

